საქართველო
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

N 27 23

09/09/2020

„ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი სამოქმედო გეგმის ვანის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობისათვის ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით (2020 წლის ივნისი-2021 წლის სექტემბერი)“ დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 24-ე მუხლის მეორე პუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს „ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი სამოქმედო გეგმა ვანის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობისათვის ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით (2020 წლის ივნისი-2021 წლის სექტემბერი)“ თანდართული სახით.

2. დაევალოს საკრებულოს აპარატის უფროსს უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შესახებ ინფორმაციის განთავსება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე www.vani.gov.ge , ასევე გეგმის განხორციელების პროცესში სამუშაო ჯგუფის ორგანიზაციული მხარდაჭერა.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს გიორგი ივანიაძეს.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N1).

ალექსანდრე ლილუაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე